

„მწვანე ალტერნატივასა“ და „სტეფანწმიდას“
ერთობლივი შენიშვნები და კომენტარები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდ. თერგზე ჰიდროელექტროსადგურის
მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგზშ) ანგარიშის
საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოდგენილი ვერსიის თაობაზე

1. ბსგზშ ანგარიში და მიმდინარე მშენებლობა

როგორც მედიის საშუალებებიდან გახდა ცნობილი (მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი, 2011 წ. 12 სექტემბერი), „დარიალი ენერჯიმ“ უკვე დაიწყო მდინარე თერგზე ჰიდროელექტროსადგურის (ჰესის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება. მშენებლობის დაწყება, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას, თავად „დარიალი ენერჯის“ გენერალურმა დირექტორმა დაადასტურა.

გარდა იმისა, რომ უნებართვო მშენებლობა კანონდარღვევას წარმოადგენს, აზრს კარგავს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგზშ) ანგარიშში განხილული ზოგიერთი საკითხის შესახებ კომენტარება (მაგალითად ალტერნატივების შესახებ). ასევე გარკვეულწილად დაგვიანებულია მოსამზადებელი ეტაპის (და შესაძლოა, მშენებლობის ეტაპის) ზეგავლენებზე, შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის გეგმის აკვარგიანობაზე საუბარი (მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის გეგმა ამჟამად უკვე უნდა ხორციელდებოდეს).

2. სადერივაციო არხი, სადერივაციო გვირაბი და წყლის ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯი

როგორც ბსგზშ ანგარიშიდან ჩანს, პროექტი ითვალისწინებს 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის მოქცევას ჯერ სადერივაციო არხში და შემდგომ სადერივაციო გვირაბში. პროექტი ითვალისწინებს მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის - 90%-ის - სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდებას; 8კმ-იან მონაკვეთზე მდინარეში დარჩება მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%.

წყლის (ეკოლოგიური) სანიტარული ხარჯი - 10%

პროექტის სკოპინგის ანგარიშზე კომენტარებისას, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სკოპინგის ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი პროექტის აკვარგიანობაზე მსჯელობისთვის აუცილებელი ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორცაა წყლის რაოდენობა/ხარჯი, რომელიც დარჩება მდინარეში იმ მონაკვეთზე, სადაც წყალი მოექცევა ჯერ 17000 მ სიგრძის სადერივაციო არხსა და შემდგომ 5400-5800 მეტრის სიგრძის სადერივაციო გვირაბში. ყურადსაღებია, რომ ბსგზშ ანგარიშშიც ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი მიჩქმალულია (გაკვრითაა ნახსენები 171-ე, 181-ე, 217-ე და 233-ე გვერდებზე) და არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის ახსნა / დასაბუთება / შესწავლა იმისა, თუ რატომ იქნა არჩეული და რა ზეგავლენა ექნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პროექტის განხორციელების შემოთავაზებულ ვარიანტს: მდინარის წყლის 90%-ის სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდებას და 8კმ-იან მონაკვეთზე მდინარეში მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებას. პროექტის შემოთავაზებული გადაწყვეტა ბადებს უამრავ კითხვას და ამასთანავე, იძლევა პროექტის ამ სახით განხორციელებაზე პროტესტის გამოთქმის მყარ საფუძველს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. უცნობია, რატომ არის შემოთავაზებული წყლის სანიტარული ხარჯი 10% და არა მაგალითად, 5%, 15%, 30% ან მეტი.

2. არ არის დასაბუთებული ის, რომ საშუალო მრავალწლიანი ხარჯის 10% საკმარისი იქნება ზოგადად, მდინარის ეკოსისტემისთვის და კერძოდ, მდინარე თერგზე დამოკიდებული ფაუნისთვის, მათ შორის თევზებისთვის. არ არის ნათელი, ჩატარებულია თუ არა რაიმე კვლევა ამ საკითხზე და ეყრდნობიან თუ ანგარიშის ავტორები რაიმე სტანდარტს ან გამოცდილებას, როდესაც ამტკიცებენ, რომ 10% „საკმარისი იქნება მდ. თერგზე დამოკიდებული ფაუნისთვის“? (აქვე, გაუგებარია, რისთვის იქნება საკმარისი?)

3. ანგარიშის 181-ე გვერდზე ავტორები ამტკიცებენ, რომ წყლის სანიტარული ხარჯის ოდენობა (10%) და მდინარე თერგის შენაკადები თავისი წყლის ხარჯით საკმარისი იქნება თერგზე დამოკიდებული ფაუნისთვის (ასევე „სრულიად საკმარისი იქნება მდ. თერგზე დამოკიდებული ბიოლოგიური გარემოს ცხოველმყოფელობისთვის“ გვ. 171). გაუგებარია, ამგვარი მტკიცების საფუძველი, როდესაც ავტორებს არ გააჩნიათ არანაირი მონაცემი თერგის შენაკადების წყლის ხარჯზე (ჩანაწერი „მდ. თერგს მარჯვნიდან ერთვის საკმაოდ მოზრდილი მდინარე ყურო, რომელიც თავის მხრივ შეამცირებს მდინარეში წყლის ნაკლებობას“ რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია! ასეთი ჩანაწერი ბელეტრისტიკას უფრო შეეფერება, ვიდრე ბსგზმ ანგარიშს).

4. გაუგებარია, როგორ იქნა დათვლილი საშუალო მრავალწლიანი ხარჯი, საიდანაც საბოლოოდ გამოთვლილ იქნა წყლის ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯი 1,97 მ³/წმ (საშუალო მრავალწლიანი ხარჯის 10%). ბსგზმ ანგარიშიდან ნათელია, რომ ანგარიშის ავტორებს ხელთ აქვთ საშუალო წლიური ხარჯის მონაცემები მხოლოდ 1928-1940 და 1953-1986 წლებისთვის და არ აქვთ უკანასკნელი 25 წლის მონაცემები. ამდენად, გაუგებარია რა მონაცემების საფუძველზე იქნა დადგენილი ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯი 1.97 მ³/წმ.

იხთიოფაუნაზე ზემოქმედება

ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანგარიშის ავტორებმა, დარიალი ჰესის შემთხვევაში, იხელმძღვანელეს მიდგომით, რომელიც გამოყენებულ იქნა ფარავანის ჰესის შემთხვევაში და რომელსაც „ტენანტის მეთოდად“ (the Tenant method, also known as the Montana method) მოიხსენიებდნენ.

თუ ასეა, აქვე განვმარტავთ, რომ ტენანტის მეთოდი (1975 წ.) არის გამოსაყენებლად მარტივი და იაფი ჰიდროლოგიური შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გარკვეული (დადგენილი და შესწავლილი!) ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური პარამეტრების/მონაცემების არსებობისას, შეიძლება კარგად იქნეს გამოყენებული მდინარის ბუნებრივი ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილების დასაშვებ ფარგლების განსაზღვრისა და ამ ფარგლებში თევზების ჰაბიტატების მდგომარეობის შესაფასებლად (გარკვეულ რეგიონებში!). ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, რომელშიც ტენანტის მეთოდის გამოყენებით, ასახულია კორელაცია სხვადასხვა ოდენობის წყლის სანიტარულ ხარჯსა და თევზების ჰაბიტატების მდგომარეობას შორის.

ჰაბიტატის მდგომარეობა	სანიტარული ხარჯი (საშუალო მრავალწლიური ხარჯის პროცენტი)	
	წყალუხვობის პერიოდი	წყალმცირობის პერიოდი
განსაკუთრებულად კარგი	40%	60%
შესანიშნავი	30%	50%
კარგი	20%	40%
დამაკმაყოფილებელი ან დეგრადირებადი	10%	30%
ცუდი ან მინიმალური	10%	10%
ძალზე დეგრადირებული	0-10%	0-10%

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტენანტის მეთოდის თანახმადაც კი (რომელსაც თავისთავად გააჩნია უამრავი ნაკლოვანება, როგორც შეფასების ინსტრუმენტს!), 10%-ის ოდენობის წყლის ეკოლოგიური ხარჯის შემთხვევაში, ჰაბიტატის მდგომარეობა იქნება „ცუდი ან მინიმალური“.

„მწვანე ალტერნატივასა“ და „სტეფანწმიდას“ ერთობლივი შენიშვნები და კომენტარები დარიალის ჰესის ბსგზმ ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოდგენილი ვერსიის თაობაზე, 9 ნოემბერი, 2011 წ.

„წითელ წიგნში“ შეტანილ სახეობაზე, ნაკადულის კალმახზე, პროექტის ზეგავლენის შესარბილებად ბსგზმ ანგარიშში შემოთავაზებული ღონისძიება - თევზსავალის მოწყობა - ვერ გააუმჯობესებს ნაკადულის კალმახის ჰაბიტატს. ამდენად, ძალზე დიდია ალბათობა იმისა, რომ თერგში ნაკადულის კალმახის პოპულაცია პროექტის განხორციელების დაწყებიდან მოკლე ხანში გაქრება.

აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ არც მშენებლობის ეტაპის და არც ექსპლუატაციის ეტაპის მონიტორინგის გეგმებში არ არის გათვალისწინებული იხთიოფაუნის მდგომარეობის მონიტორინგი. ამას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოემბნოს - მიუხედავად ე.წ. „მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებისა“ (გვ. 181), მონიტორინგის ობიექტი და შესაბამისად, მონიტორინგის საჭიროება, უბრალოდ აღარ იარსებებს.

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

გაუგებარია, რის საფუძველზე იქნა შეფასებული ჰესის ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება ექსპლუატაციის ფაზაზე როგორც „დაბალი“ (გვ. 193) მაშინ, როდესაც დარიალის ხეობის 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარე თერგი პრაქტიკულად აღარ იარსებებს?! 1.97 მ³/წმ ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯით ეს იქნება მცირე მდინარე, რომელიც ცივი ზამთრის პირობებში, ძალზე დიდი ალბათობით, გაიყინება!

გარდა ამისა, სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იანი მონაკვეთი, სამუდამოდ თუ არა, 50 წელზე მეტი ხნით აბსოლუტურად შეიცვლის იერსახეს. ბსგზმ ანგარიშის ავტორებისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი განათლებული ქართველისთვის სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ დარიალის ხეობა სწორედ მდინარე თერგითაა გამორჩეული; სწორედ ეს მდინარე წარმოადგენდა შთაგონების წყაროს ილია ჭავჭავაძისთვის, ალექსანდრე ყაზბეგისთვის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვა ცნობილი მწერლებისა და პოეტებისთვის. სწორედ ეს მდინარე და მისი მიმდებარე ლანდშაფტი იზიდავდა მოგზაურებს და დღემდე იზიდავს ტურისტებს. პროექტის შემოთავაზებული სახით განხორციელების შემთხვევაში, ხეობა დაკარგავს იმ ფასეულობას, რის გამოც ის დღესაც იზიდავს ტურისტებს; ეს კი, შესაბამისად, აისახება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე (განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე).

თანამედროვე ეკოლოგიასა და კონსერვაციულ ბიოლოგიაში აღნიშნულ ფენომენს „ეკოსისტემის კულტურული სერვისი“ ეწოდება. პროექტის ამ სახით განხორციელება გამოიწვევს ეკოსისტემის ამ სერვისის სრულიად დაკარგვას.

ზემოაღწერილი პრობლემური საკითხების გამო, პროექტის შემოთავაზებული გადაწყვეტა აბსოლუტურად მიუღებელს ხდის მთელ პროექტს (რომ არაფერი ვთქვათ პროექტის / ბსგზმ ანგარიშის სხვა მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე). ეს მიზეზებიც კი კმარა იმისათვის, რომ ჩვენ მოვუწოდოთ გარემოს დაცვის სამინისტროს, არ გასცეს ნებართვა / ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა დარიალი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე¹.

3. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

პროექტის სკოპინგის ანგარიშში აღნიშნული იყო შემდეგი: „თუ გავითვალისწინებთ, რომ მდ. დარიალი ტრანსსასაზღვრო მდინარეა, სამშენებლო სამუშაოების პროცესში მდინარის წყლის ხარისხის გაუარესება და შესაბამისად წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული ზემოქმედების შეფასება მოხდება ბსგზმ-ის პროცესში და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები მოცემული იქნება გარემოსდაცვით და სოციალურ მართვის გეგმაში“. მიუხედავად ამ დებულებისა, პროექტის ბსგზმ ანგარიშში, სამწუხაროდ, არ

¹ ასეთი მოწოდების საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ პროექტის განმახორციელებელმა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვებამდე მშენებლობის დაწყებით უკვე დაარღვია კანონი. ამდენად, ძალზე დიდია ალბათობა იმისა, რომ ის მომავალშიც შეეცდება არ შეასრულოს ბსგზმ ანგარიშით და ნებართვის პირობებით განსაზღვრული ვალდებულებები, თუ ნებართვა გაიცა, რა თქმა უნდა.

მოიცავს რაიმე სახის ინფორმაციას პროექტის ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ; ბსგზმ ანგარიშში საერთოდ არ არის ნახსენები ჩატარდა, თუ არა რაიმე კვლევა ტრანსსასაზღვრო ზეგავლენის შესაფასებლად, რომ არაფერი ვთქვათ ზეგავლენის მასშტაბზე, მნიშვნელობაზე და ა.შ. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეუფასებლობა უნდა ჩაითვალოს ბსგზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად და ასევე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მოთხოვნებთან შეუსაბამობად.

4. კლიმატის ცვლილება

პროექტის სკოპინგის ანგარიშში აღნიშნული იყო შემდეგი: „*ცნობილია, რომ დერივაციული ტიპის ჰესების ექსპლუატაცია გლობალური ან ადგილობრივი კლიმატის მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებული არ არის. კლიმატის გლობალური ცვლილებები კი შესაძლოა დაკავშირებული იქნას ჰეს-ის ექსპლუატაციის პირობების შეცვლასთან, კერძოდ: ტემპერატურის ზრდამ შეიძლება დააჩქაროს მდ. თერგის ზედა დინებაში მყინვარების დნობა, შესაბამისად გაიზრდება წყლის და მყარი ნატანის ხარჯი, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ჰეს-ის სათაო ნაგებობების პროექტირების პროცესში. ბსგზმ-ში მოცემული იქნება კლიმატის ცვლილების პროგნოზი 2050 წლამდე (კლიმატის ცვლილების არსებული გლობალური და რეგიონალური მოდელების გამოყენებით) პერიოდისათვის“.*

ისევე როგორც ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში, ბსგზმ ანგარიში არაფერია ნათქვამი პროექტზე კლიმატის ცვლილებების ზეგავლენაზე. ანგარიშიდან არ არის ნათელი, საერთოდ ჩატარდა თუ არა ამ მიმართულებით რაიმე კვლევა, რომ არაფერი ვთქვათ 2050 წლამდე პერიოდისთვის კლიმატის ცვლილების პროგნოზირებაზე. მყინვარების მდგომარეობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესახებ შესრულებულია მნიშვნელოვანი გამოკვლევები საქართველოში მოქმედი სამეცნიერო აკადემური დაწესებულებების მიერ, რომელთა მიხედვითაც, მყინვარების კლების ტენდენცია ძლიერ საგანგაშოა. როგორც ჩანს, ბსგზმ ანგარიშის შედგენისას ეს კვლევები და მათი შედეგები არ ყოფილა განხილული და შესაბამისად, ასახული ანგარიშში.

კლიმატის ცვლილების საკითხის შეუსწავლელობა, ასევე უნდა ჩაითვალოს ბსგზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მოთხოვნებთან შეუსაბამობად.

5. კუმულატიური, სინერგეტიკული და ნარჩენი ზემოქმედება

სკოპინგის ანგარიშში არასრულფასოვნად იყო ასახული კუმულატიური ზემოქმედებები, რაზეც ჩვენ უკვე მივუთითეთ სკოპინგის ანგარიშზე ჩვენს შენიშვნებში. ამჯერად ბსგზმ ანგარიშში ავტორები საერთოდ გვერდს უვლიან კუმულატიური ზემოქმედების საკითხს, ისევე როგორც სინერგეტიკული ზემოქმედების საკითხს.

ბსგზმ ანგარიშში აუცილებლად უნდა იყოს შეფასებული და განხილული პროექტის კუმულატიური და სინერგეტიკული ზემოქმედებები სხვა ობიექტების მშენებლობისას (მაგალითად, ლარსი ჰესის მშენებლობისას - ანგარიშის ავტორებისთვის სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ამ პროექტის ფარგლებშიც, ისევე როგორც დარიალის ჰესის შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოები უკვე მიმდინარებს) და ოპერირებისას (სულ მცირე, ყაზბეგი-ჰესისა და ლარსის ჰესის ოპერირებისას). ამ საკითხების განუხილველობა ასევე უნდა ჩაითვალოს ბსგზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად.

რაც შეეხება ნარჩენ ზემოქმედებას, ბსგზმ ანგარიშში ამ საკითხს ეთმობა ერთგვერდიანი თავი, სადაც წარმოდგენილია ნარჩენი ზემოქმედების ამსახველი ცხრილი. ჩვენი აზრით, ამ ცხრილში არასწორადაა შეფასებული ზოგიერთი ნარჩენი ზემოქმედება, რაც მკითხველს და განსაკუთრებით, გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებს არასწორ წარმოდგენას შეუქმნის პროექტზე და იმ ზემოქმედებებზე (ასევე მათ სიდიდეზე, მნიშვნელობაზე), რომლებსაც ადგილი ექნება პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის (სულ მცირე - 50 წლის) განმავლობაში. კერძოდ:

„მწვანე ალტერნატივას“ და „სტეფანწმიდას“ ერთობლივი შენიშვნები და კომენტარები დარიალის ჰესის ბსგზმ ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოდგენილი ვერსიის თაობაზე, 9 ნოემბერი, 2011 წ.

- **ჰიდროლოგიური რეჟიმის შეცვლა:** ცხრილში აღნიშნულია, რომ ოპერირების ეტაპზე, მდ. თერგის 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე, ამ ზემოქმედებას ადგილი ექნება შემარბილებელი ღონისძიების გატარების შემდგომ, თუმცა თავად ანგარიშში არ არის შემოთავაზებული რაიმე სახის შემარბილებელი ღონისძიება. ამასთან, ცხრილში ეს ზემოქმედება შეფასებულია როგორც „საშუალო მნიშვნელობის“, რაც ყოველად მიუღებელია: მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდებით და გკმ-იან მონაკვეთზე მდინარეში მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებით გამოწვეული მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება არ შეიძლება ჩაითვალოს „საშუალო მნიშვნელობის“ ზემოქმედებად. უფრო მეტიც, ეს ზემოქმედება უნდა მიეკუთვნოს ძალზე მაღალი მნიშვნელობის შეუქცევადი ზემოქმედებების რიგს, სულ მცირე პროექტის ოპერირების ეტაპისთვის.
- **ზემოქმედება ფაუნაზე - იხთიოფაუნა:** ანალოგიურად, აბსოლუტურად დაუსაბუთებლად აქვს მინიჭებული ნარჩენი ზემოქმედების ამ სახეს „უმნიშვნელოს“ ხარისხი. შემარბილებელ ღონისძიებად 7.8.3.2 თავში შემოთავაზებული - თევზსავალის მოწყობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეარბილებს ზემოქმედებას, თუ ის იქნება თევზების ბუნებრივ სამიგრაციო გზასთან მაქსიმალურად მიახლოებული. ამ შემთხვევაშიც კი, ვერ იქნება თავიდან აცილებული მდინარეში 10%-იანი სანიტარული ხარჯის დატოვებით გამოწვეული თევზპროდუქტიულობის დაკარგვა. ამდენად, ნაკადულის იხთიოფაუნაზე ზემოქმედებაც უნდა მიეკუთვნოს ძალზე მაღალი მნიშვნელობის შეუქცევადი ზემოქმედებების რიგს.
- **ლანდშაფტურ-ვიზუალური ცვლილებები:** ისევე როგორც წინა შემთხვევებში, გკმ-იან მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდებით გამოწვეული ლანდშაფტურ-ვიზუალური ცვლილებები უნდა შეფასდეს როგორც ძალზე მაღალი მნიშვნელობის შეუქცევადი ზემოქმედება.

6. ნარჩენების მართვა: გამონამუშევარი ქანების გატანა-განთავსება

სკოპინგის ანგარიშისგან განსხვავებით, ამჯერად ბსგზმ ანგარიშში არაერთხელაა აღნიშნული, რომ გვირაბისა და ჰესის შენობის მშენებლობისას ამოღებული გამონამუშევარი ქანების ნაწილს გამოიყენებს თავად პროექტი (დარიალი ჰესი), ნაწილი კი, შესაძლებელია გამოიყენებულ იქნეს „ლარსი-ჰესის“ მიერ. დასაზუსტებელია, განხილულ იქნა, თუ არა „ლარსი-ჰესთან“ გამონამუშევარი ქანების გამოყენების საკითხი და არსებობს, თუ არა რაიმე შეთანხმება „ლარსი-ჰესთან“. გარდა ამისა, განხილულ უნდა იქნეს ისეთი შემთხვევაც (და შესაბამისად ვალდებულება), როდესაც გამონამუშევარი ქანების ნაწილი, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ ან ვერ იქნა გამოყენებული ვერც „დარიალი ენერჯის“ და ვერც ლარსი-ჰესის მიერ; როგორ გამოიყენებს / განთავსებს კომპანია ასეთ შემთხვევაში გამონამუშევარ ქანებს?

7. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება

ბსგზმ ანგარიშში არაერთხელაა ნახსენები, რომ მშენებლობის ფაზაზე (დაახლოებით 3.5-4.0 წელი) სულ დასაქმებული იქნება 300 კაცი, ხოლო ექსპლუატაციის ფაზაზე 20 კაცი. ასევე, არაერთხელაა ნახსენები, რომ პროექტში დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, თუმცა არ არის ნათელი ადგილობრივი მოსახლეობის წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში. განმარტება, რომელიც მოცემულია ანგარიშის 3.1 თავში (გვ. 38), რატომღაც ალტერნატივების ანალიზისას, არ არის საკმარისი; აქ მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული:

ამონარიდი: 3.1 ალტერნატივა პროექტის გარეშე

„აღსანიშნავია მაღალანაზღაურებადი დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მაღალი ალბათობა - როგორც მსგავსი პროექტების განხორციელების პრაქტიკა გვიჩვენებს ჰესის მშენებლობისას დასაქმებულთა მხოლოდ 5-10%-ს

შეადგენს დედაქალაქიდან და სხვა რეგიონებიდან მოწვეული მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. მომსახურე პერსონალის დანარჩენი 90% (არაკვალიფიცირებული მუშახელი) კონკურსების გზით შეირჩევა ადგილობრივი მოსახლეობიდან, რომელთაც ჩაუტარდება სათანადო ტრენინგები. ადგილობრივების მაღალი წილი იქნება ასევე ჰესის ოპერირების დროს დასაქმებულთა შორისაც“.

ამ ჩანაწერიდან არ არის ბოლომდე ნათელი, იღებს თუ არა “დარიალი ენერჯი“ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულებას და თუ იღებს: რამდენი იქნება ადგილობრივი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში (ორივე, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე); და როგორ, რა მექანიზმებით იქნება შესაძლებელი დაინტერესებული მხარეებისთვის გადამოწმდეს, რამდენი ადგილობრივი იქნა დასაქმებული პროექტში.

გარდა ამისა, ანგარიშის 4.3.2 ქვეთავში (გვ. 75) აღნიშნულია, რომ „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები იწარმოებს ვახტური მეთოდით, მუშათა შემადგენლობის მინიმალური რაოდენობით, რომლებიც ფლობენ ორ ან მეტ დარგობრივ პროფესიას. ჰესის მშენებლობისას, სულ დასაქმებული იქნება 300 კაცი“. ჩვენი აზრით, ამ ჩანაწერით, „დარიალი ენერჯი“ უკვე დიდწილად გამორიცხავს ადგილობრივი მოსახლეობის მშენებლობაზე დასაქმების შესაძლებლობას და ანგარიშის სხვა ადგილებში არაერთხელ ნახსენები ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა, სხვა არაფერია, თუ არა ცრუ დაპირება (შესაბამისად, პროექტიდან მიღებული სარგებლის გადაჭარბებული შეფასებაც).

8. სხვა საკითხები

წარმოდგენილი ბსგზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ასევე ის, რომ ბსგზმ ანგარიშის შედგენისას (შეფასების ჩატარებისას) არ იყო გამოყენებული დეტალური გეოლოგიური და გეო-ტექნიკური კვლევების შედეგები (გვ.107-109) და საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკების შეფასების შედეგები (გვ.116). ასევე, ანგარიშის ძალზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მიწისქვეშა წყლების დებიტსა და ხარისხზე ზეგავლენის შეუსწავლელობა (გვ. 174-175).

დასასრულს, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით, ბსგზმ ანგარიშის ავტორთა პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზე კარგად არ მეტყველებს ანგარიშის ბოლო, დასკვნით თავში მოყვანილი მტკიცება, რომ ჰესის „მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის“ (გვ.233). ამასთან, გაუგებარია თავად ამ დასკვნითი მე-13 თავის დანიშნულება - თავში თითქოს თავმოყრილია პროექტის მნიშვნელოვანი ასპექტები, მაგრამ არასრულად; გაუგებარია, ვისთვის არის განკუთვნილი რეკომენდაციები - თუ პროექტის განმახორციელებლისთვის, მაშინ ეს ღონისძიებები (ისევე როგორც სხვა, რომელიც ამ თავში რატომღაც ვერ მოხვდა) ვალდებულებების სახით ნათლად და სტრუქტურირებულად უნდა იყოს გაწერილი ანგარიშის ძირითად ტექსტში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანგარიშში ამ თავის არსებობა გათვლილია გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაძლო სიზარმაცეზე ან არაკომპეტენტურობაზე და თან იმ იმედით, რომ ანგარიშის წინა ნაწილს, რომელიც ბევრ კითხვებს ბადებს, ისინი შეიძლება საერთოდ არ გაეცნონ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი სახით პროექტის დამტკიცება და განხორციელება შეუქცევად ზიანს მიაყენებს რეგიონის ლანდშაფტურ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, ასევე ეკოსისტემების მომამარაგებელ, დამხმარე, მარეგულირებელ და კულტურულ სერვისებს. ამასთანავე, გამოიწვევს საქართველოს მიერ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის, ევროპის ლანდშაფტების კონვენციისა და ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის უხემ დარღვევას.